

1001-ე მატჩი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 15 ოქტომბერი.

"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (მინსკი) 2:0 (1:0).

თბილისი: გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, მუჯირი, ჩივაძე, დარასელია (ჩელებაძე), ქორიძე, ესებუა (კოპალეიშვილი), ყიფიანი, წერეთელი.

მინსკი: ვერგენკო, ბოროვსკი, ბელოვი, შავეიკო, ვორონინი, პროკოპენკო, ბაიდაჩინი, კურნევი (ტიმოფეევი), ბოგოვიკი, პუდიშევი, ბელოუსი (ვასილევსკი).

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 2:0.

თბილისის "დინამომ", მეოთხე გუნდმა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში, მიაღწია ღირსშესანიშნავ ციფრს: 11 ოქტომბერს ჩატარა ეროვნული ჩემპიონატების რიგით მეათასე მატჩი, მინსკის თანაკლუბელებთან შეხვედრაში კი გადავიდა მეორე ათასეულში და ორივე ეს თამაში გამარჯვებებით აღნიშნა.

გამარჯვება მუდამ სასიამოვნოა, მით უმეტეს, ასეთ საიუბილეო ვითარებაში და დაძაბულ სატურნირო სიტუაციაში, როცა ერთ მოგება–წაგებას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს გუნდის მდგომარეობა ცხრილში, მაგრამ ჩვენი ფიქრები წინ უსწრებდა ამ მატჩს და თავს დასტრიალებდა მომავალ ოთხშაბათს, როცა თბილისელებს თასების მთლიანებითა თასის უკიდურესად საპასუხისმგებლო და რთული მატჩი აქვთ ჩასატარებელი ბუდაპეშტის მტკ–სთან.

თბილისის "დინამოს" ამ მატჩში ბევრს ვერაფერს დავაყვედრით. მას თითქმის მთელი თამაშის მანძილზე არ დაუთმია ტერიტორიული უპირატესობა, იბრძოდა მონდომებით, ენერგიულად, შეძლო კიდევ ერთი ბალიც აელო დიდი ანგარიშით მოგებული შეხვედრების პრიზისთვის, მაგრამ, რა დასამალია, ძალიან იგრძნობა მ. მაჩაიძის, გუცაევისა და ხინჩგაშვილის არყოფნა. ეს ის ძალაა, რომელიც დინამოელთა თამაშს განსაკუთრებით აგრესიულ და დასრულებულ სახეს აძლევს და მხოლოდ ისლა დაგვრჩენია ვისურვოთ სამივე ამ ფეხბურთელის მწყობრში დაბრუნება 20 ოქტომბრისთვის. მტკ–სთან საჭიროა არა უბრალო გამარჯვება, არამედ ბურთების ის დადებითი ბალანსიც, რომელიც განმეორებით შეხვედრისთვის მეოთხედფინალში გასვლის გარანტიას შექმნის.

ახლანდელი ერთწრიანი ჩემიონატის პირობებში ყოველ ქულას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. მისნკის "დინამო" ამ მატჩში აუტსაიდერთა რიგების ნარმომადგენლად გამოვიდა მინდორზე, მაგრამ მოგების შემთხვევაში იგი ერთბაშად ხუთი ადგილით ინაცვლებდა წინ და თითქმის ინალდებდა უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსს, ეს კი ისეთი სტიმულია გუნდისთვის, რომ მას სახითათო ძალად აქცევდა ჩვენთვის. გამარჯვების იმედი სტუმრებს შეიძლება არც ჰქონდათ, ქულის აღებისთვის კი მათ ცდა არ დააკლეს, განსაკუთრებით გააძლიერეს ნახევარდაცვის ხაზი და 42 წუთის განმავლობაში ნარმატებით ახორციელებდნენ თავიანთ ამოცანას.

მაგრამ მინსკელთა ამოცანები ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს. გადიოდა დრო, 15 წუთი, 30, 40, თბილისელთა ტერიტორიული უპირატესობა ყველასთვის ცხადი იყო, შედეგი კი არ ჩანდა. იყო შეტევები, გარღვევები, კუთხური მოწოდებები, სახიფათო

მომენტები, ხოლო ტაბლოზე უცვლელად ეწერა ციფრი 0. ტაიმის მოგება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

და აი, 42-ე წეთი. ყიფიანმა ნამდვილი დიდოსტატური გადაცემით გაიყვანა გარღვევაზე ქორიძე, ან თითქმის პირით ხაზთან მიუსწრო ბურთს, სწრაფად მიაწოდა ცენტრში, კარიდან 4-5 მეტრის მანძილზე, და აქ სრული სისწრაფით შეიჭრა წერეთელი – 1:0.

მეორე ტაიმში თბილისელთა თამაში უფრო ტემპიანი, ხალისიანი გახდა. გუნდს დიდი ოსტატობით, ნამდვილი საფეხბურთო ხელოვნებით ხელმძღვანელობდა ყიფიანი, რომლის ვირტუოზული საშემსრულებლო ტექნიკა შესანიშნავადაა შერწყმული კომბინაციურ ალლოსთან. ყიფიანს პერსონალურ დარაჯად ჰყავდა მიჩნეული შავეიკო, მაგრამ იგი უძლური იყო ინდივიდუალურად ებრძოლა თბილისელთა ლიდერის წინააღმდეგ, ხოლო როცა შავეიკოს დასახმარებლად მიეშურებოდა რომელიმე პარტნიორი, ყიფიანი უშეცდომოდ და დაუყოვნებლივ აწვდიდა ბურთს თავისუფალ ადგილზე. მას კარგად აუბა მხარი კოპალეიშვილმაც.

50-ე წეთზე სტუმრების კარში დაინიშნა საჯარიმო. თბილისელებმა იგი კარგად გაითამაშეს, ყიფიანმა ზუსტად დაარტყა შორეულ დაბალ კუთხეში და მეკარე ვერგენკომ თავგანწირული ნახტომის შემდეგ მხოლოდ უმწეოდ გაშალა ხელები. ბურთის აღება მან ვერ შეძლო.

დარჩენილ დროში თამაში გადადებული საჭადრაკო პარტიის დამთავრებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძოლას გამარჯვებულის გამოსავლენად. მართალია, მინსკელებმა სცადეს მდგომარეობის გამოსწრება, გოგიას ორი ძნელი ბურთს აღებაც მოუხდა ტიმოფეევისა და ვასილევსკისაგან, მაგამ ეს მხოლოდ ეპიზოდები იყო. თბილისის „დინამომ“ ბოლომდე წარმატებით მიიყვანა გამარჯვების საქმე.

ა. ხარბედია, სპორტის ოსტატი.
„ლელო“, 17 ოქტომბერი, 1976 წ.